# საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ბრძანება № 01-02/45

ქ. ბათუმი

29 მარტი, 2019 წელი

**ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის მოსარგებლისათვის სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის N06-01/07 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, ,,სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის N9 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის №06-01/07 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 22 თებერვლის N01-02/20 და ,,ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 22 თებერვლის N01-02/20 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 28 თებერვლის N01-02/25 ბრძანების საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის მოსარგებლისათვის სერტიფიკატის გაცემის წესი თანდართული რედაქციით (**დანართები N1**).
2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს: პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმძღვანელებს (გადაეგზავნოს ცენტრის მეირ), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**რექტორი, ასოცირებული პროფესორი** **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 29 მარტის
01-02/45 ბრძანების

**დანართი 1**

**ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის მოსარგებლისათვის სერტიფიკატის გაცემის წესი**

1. ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის დასრულების შედეგად პროგრამის მოსარგებლეს სერტიფიკატის გაცემის მიზნით უნდა ჩაუტარდეს გამოცდა.
2. სასერტიფიკატო გამოცდაზე პროგრამის მოსარგებლეთა შეფასებისას ყურადღება ექცევა როგორც მის თეორიულ ცოდნას, ისე პროგრამით მოსარგებლეთა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.
3. პროგრამის მოსარგებლის შეფასებისას გამოიყენება 100 ქულიანი შეფასება, კერძოდ:

   ა ) 51-100 ქულა - დადებითი შეფასება

   ბ) 0-50 ქულა - უარყოფითი შეფასება
4. გამოცდაზე არადამაკმაყოფილებელი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე 5 დღის ვადაში. განმეორებით გამოცდაზე მიღებული შედეგი საბოლოოა.
5. პროგრამის მოსარგებლეთათვის დადებითი შეფასების შემთხვევაში (51-100 ქულა) საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის (შემდეგში ,,ცენტრი") წარდგინებით გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება პროგრამის მოსარგებლეთათვის სერტიფიკატის გაცემის თაობაზე.
6. სერტიფიკატის დამზადებას და გაცემას (აღირიცხება შესაბამის ჟურნალში) ორგანიზებას უწევს ცენტრი.
7. სასერტიფიკატო საგამოცდო კომისიის შემადგენლობას ცენტრის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს ბსუ-ს რექტორი. კომისიის შემადგენლობაში შედის: ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი, ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოკლევადიანი სასწავლო პროგრამის დარგის სპეციალისტი და დამსაქმებელი.